ფასი 30 კაპ.

ს ს ს რ განათლების სახალხო კომისარიატის გრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

№ 8 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 1937 წ.

172
937/2

შ ი ნ ა ა რ ს ი

საშუალო სკოლის პროგრამები

1. ხატვა 2
2. ასტრონომია 7
3. რაიონული (საქალაქო) პედაგოგიური კაბინეტის დებულება 10

გრძანებანი და განკარგულებანი

4. მოზრდილთა ა/ს საშუალო და საშ სკოლებისათვის მეთოდური სექციის ჩამოყალიბების შესახებ 11
5. საბავშვო გამომცემლობის მუშაობის შესახებ 12
6. ყვარელის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობის გარდაქმნისათვის . . 13
7. ვანის რაიონის განათლების განყ. გამგის შესახებ 14
8. პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობისათვის განაკვეთების შემოღების შესახებ . 14
9. სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცების შესახებ 15
10. პედკვალიფიკაციის ამაღლების კურსების შესახებ 15

გ ა ნ ს ა ს ა ძ ო მ ი

თ ბ ი ლ ი ს ი — 1937

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
განათლების სახ. კომისრის
მოადგილე **დ. ყიფშიძე.**

საშუალო სკოლის პროგრამები

ხატვა

V და VI კლასი

საშუალო სკოლაში ხატვის სწავლების ძირითადი ამოცანაა — მისცეს მოსწავლეებს საგნების, ცალკე და ჩვეულებრივ გარემოცვაში დახატვის ცოდნა, განავითაროს მათში მხატვრული გემოვნება, საგნების მხატვრული ღირსების სწორი შემეცნება და ამასთანავე, განამტკიცოს და გააღრმავოს დაწყებით სკოლაში ხატვისას მათ მიერ მიღებული ცოდნა-ჩვევები.

მოსწავლის მიერ შესრულებული ნახატი მთლიან შთაბეჭდილებას უნდა სტოვებდეს საგნის ფორმის, აგებულების, დანიშნულების, მხატვრული ღირსებისა და აგრეთვე სამასშტაბო და სივრცობრივ შეფარდებებზე.

საშუალო სკოლის ფარგლებში ხატვის კურსის მოცულობა და ნახატისადმი წაყენებული მოთხოვნები წარმოადგენენ ყოველ მოსწავლისათვის დასაძლევ სახვითი ცოდნის ძირითად მინიმუმს, რომელიც აუცილებელია, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში, ისე ხელოვნების სფეროშიაც.

ფანქრისა და საღებავების საშუალებით ცალკეულ საგნებისა და საგანთა ჯგუფების ხატვა ნატურიდან, პროგრამის ძირითად წამყვან ნაწილს წარმოადგენს: აქ შედის აგრეთვე ადამიანისა და ცხოველების ჩანახატების შესრულება.

მეორე ნაწილია — მეხსიერებით და წარმოდგენითი ხატვა სხვადასხვა თემაზე.

ნატურიდან ხატვა ავითარებს მოსწავლეებში დაკვირვების უნარიანობას და სპეციალურ ჩვევებს, ეს კი ხელს შეუწყობს მათ დასახატავ ობიექტების შესწავლაში და დანახულის სწორად ასახვისათვის საჭირო დახელოვნების გამომუშავებაში, — ნახატში საგანთა ფორმის, შეფერილობისა და ზომათა შეფარდებების შესწავლას და სწორ ასახვას საგნების მდგომარეობასთან და დამხატავის თვალთახედვის წერტილთან დაკავშირებით, ფორმის ცვლილებათა გადმოცემას (ძირითადი წესების შეთვისება და საგნების პერსპექტიული გამოსახვის სწორი ცოდნა) და სხვა.

ფანქრით მუშაობა ნატურიდან მეტნაწილად ტარდება ჩანახატების სახით და უპირველესყოვლისა მიზნად ისახავს მოცულობითი ფორმის **ხაზობრივი** გამოსახვის წესების შეთვისებას: ნაწილი ამ მუშაობისა (საგანთა ჯგუფის ხატვა) სრულდება უფრო ხანგრძლივ ნახატების სახით, მოცულობის შუქჩრდილით გადმოცემის საშუალებით (სინათლე, ნახევარჩრდილი, ჩრდილი).

მუშაობის სწორად დაყენებისათვის, ნატურიდან ხატვის წინ, მოსწავლეებთან უნდა ჩატარდეს საუბარი, პერსპექტიულ გამოსახვის ხერხებისა და წესების შესახებ (ცნებანი — თვალთხედვის წერტილების შესახებ და მისი მნიშვნელობა, ჰორიზონტის შესახებ. მოცულობითი ფორმის საგნების ხილული ცვლილებების—სიბრტყეების შემცირება, ვერტიკალების სწორად გადმოცემა, — იმ სწორკუთხა საგნის ფუძის ხაზის მიმართულების ცვლილებათა შესახებ, რომელიც მდებარეობს კუთხით დამხატველისადმი).

საგნებზე ხედვისა და მათთვის დამახასიათებელ მოცულობითი ფორმის გადმოცემის გასაადვილებლად საჭიროა ცალკეულ საგნებისა და საგანთა ჯგუფების ხატვის დროს დასახატავ საგნების მოთავსება დამხატველის

თვალ-დონის ქვევით; მოსწავლეებმა უნდა დაინახონ ცილინდრული ფორმის საგნების ზედა ფუძე, არამსხვილ სწორკუთხა ფორმის საგნების გამოსახვისას ზედა წახნაგი.

იმისათვის, რომ საგანთა ჯგუფი მთელმა კლასმა კარგად დაინახოს, საჭიროა ვიქონიოთ ერთდაიმავე საგნის 2-3 ეგზემპლარი და საგანთა ჯგუფები მოვათავსოთ კლასის სხვადასხვა მხარეს.

ჯგუფში შემავალი საგნები სადა და მთლიანი უნდა იყოს — როგორც ფორმის, ისე ფერის მხრივ, მათზე არ უნდა არც ნაყშები და არც მორთულობა და ისინი უნდა ეფარდებოდნენ ერთმანეთს თავისი დანიშნულების მიხედვით.

მცენარეთა სამყაროს ობიექტების ჩახატვა სწარმოებს ნატურიდან, ნედლი ან გამხმარი მცენარეებიდან, ბოსტნეულიდან, ხილიდან ან მათი მოდელებიდან, ცხოველების ჩახატვა კი — ფიტულიდან.

სოფლის სკოლებში VI კლასის მოსწავლეებმა შეიძლება ჩაატარონ ცხოველების ჩახატვა ცოცხალ ობიექტებიდან. ქალაქის სკოლებში კი ამ შემთხვევაში შეიძლება ცოცხალი კუთხით სარგებლობა (თუ ასეთი არის სკოლაში); მუშაობის ასეთი სახე დააინტერესებს მოსწავლეებს და მეტად სასარგებლოა საჭირო ცოდნა-ჩვევების გამომუშავების საქმიანობაში. ეს მუშაობა უნდა სრულდებოდეს სკოლის გარეშე მუშაობის გზით, სახვითი ხელოვნების წრეში ან სახლში.

საუბრები ადამიანის სხეულის აგებულებასა და მოძრაობის სქემების შესახებ, სასურველია ჩატარებული იქნას ანატომიური ტაბულების ჩვენებითაც (ადამიანის ჩონჩხი VI კლ.). ამასთან ერთად მოძრაობის სქემაზე დაკვირვება სწარმოებს მოსწავლეზედაც.

ერთ ფეხზე დაყრდნობილ ადამიანის ხატვის დროს მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, თუ როგორ წარმოებს სხეულის მდგომარეობის ცვლილებებთან შეფარდებით, მთელი სხეულის სიმძიმის ცენტრის გადატანა და ხაზი უნდა გაუსვას ნახატში ამ პირობის დაცვის აუცილებლობას.

ადამიანის სხეულის ხატვისას, მასწავლებელმა უნდა მიაპყრას მოსწავლეთა ყურადღება ტანის აგებულებას და შემადგენელ ნაწილების პროპორციულ შეფარდებებს, გაუმარტოს მათ პროპორციების [illegible]ისა და მათი ნახატში გადმოცემის აუცილებლობა.

პროპორციების საკითხთან დაკავშირებით სასურველია ჩატარებულ იქნას მოკლე საუბარი საერთოდ, საგნების პროპორციების მნიშვნელობისა და გამოყენების შესახებ (არქიტექტურა, ქანდაკება და სხვა).

აკვარელით ნატურიდან მუშაობამ, რომელსაც წინ უნდა უსწრებდეს ფანქრით ზუსტად და სუფთად შესრულებული ნახატი, უნდა მისცეს მოსწავლეებს საჭირო ტექნიკური ელემენტარული ჩვევები (საღებავების შერევა, საღებავების სწორად მოსხმა, ფერის გაშლა).

აკვარელით მუშაობამ მოსწავლეებში უნდა გააღრმავოს საგნის ფორმის გამოსახვის ცოდნა, შეასწავლოს ფორმის სწორად გადმოცემა ძირითადი ფერის გაძლიერებისა და შესუსტების გზით, განავითაროს მოსწავლეებში ხედვა, საგნის დამახასიათებელი ფერის სწორად შერჩევის უნარიანობა და მხატვრული გემოვნება.

ნახატის შესრულების პროცესში მასწავლებელი უნდა აფრთხილებდეს მოსწავლეებს, რათა ნახატის სუფთად და კოხტად შესრულებისა და აგრეთვე გადამეტებული დეტალირებისაკენ, მისწრაფებამ არ შეაფერხოს საგნის ფორმისა და დამახასიათებელ თვისებათა სწორად გადმოცემა; აგრეთვე არ არის დასაშვები ნატურიდან შესრულებულ ნახატის ფანქრით ხელახალი შემოვლება.

მეხსიერებითი და წარმოდგენითი ხატვა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია სახვითი ცოდნის შესწავლის მთელ სისტემაში. თუ ჩვენ დაწყებით სკოლაში ხატვას ვასწავლიდით მეხსიერებითი და წარმოდგენითი თემების გამოსახვის გზით, ეს გამომდინარეობდა იმ გარემოებიდან, რომ დაბალი კლასების მოსწავლეებს ნატურიდან ხატვა უძნელდებათ, რადგან მათში ჯერ არ არის გამომუშავებული საჭირო ტექნიკური ცოდნა-ჩვევები და ხელი არ აქვთ დახელოვნებული დანახულის სწორად გადმოცემაში. ამის გამო დაწყებით სკოლაში დაწყება წარმოდგენითი ხატვისა მიზანშეწონილია, ამით ბავშვის მეხსიერება-

ში ყალიბდება გარკვეული სახვითი წარმოდგენები. საშუალო სკოლებში მეხსიერებითი და წარმოდგენით ხატვას, დაწყებით სკოლასთან შედარებით, ენიჭება სხვა მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ნატურიდან ხანგრძლივი ხატვის შედეგად სპეციალურ ცოდნა-ჩვევებისა და მხატვრული წარმოდგენების განვითარებით, მეხსიერებითი წარმოდგენით და სასიუჟეტო ხატვაში, მოსწავლე იყენებს ყველაფერ ამას და ამით ამტკიცებს და ავითარებს თავის სახვითს ჩვევებს. ამრიგად პროგრამის ეს ნაწილი მოსწავლის დახელოვნების შემოწმების საშუალებაცაა.

სხვადასხვა თემაზე ხატვა (სასიუჟეტო ხატვა) ხელს უწყობს მოსწავლეს შეისწავლოს საგნების სივრცობრივი და სამასშტაბო შეფარდებათა გადმოცემა ღია და დახურულ სივრცეში, ადამიანის და საგნების ხატვის დროს (შორეულ საგნების შემცირება, ჰორიზონტის გამოკვლევა, ჰორიზონტის ქვევით და ზევით მიმდინარე ხაზების მიმართულება).

ამ ჩვევების შეთვისება უნდა მიმდინარეობდეს სინამდვილის დაკვირვების გზით და სქემის საშუალებით წმინდა მექანიკურ პერსპექტიულ აგებას, ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ნატურიდან და წარმოდგენით ხატვა ერთი მეორეს უნდა სცვლიდეს შემდეგ ნაირად: პირველად უნდა მიმდინარეობდეს ცალკეულ საგნების ხატვა. შემდეგ საგანთა ჯგუფების ხატვა (ჯგუფების შემადგენელი საგნები, წინასწარ დახატულ ცალკეულ საგნების მსგავსი უნდა იყოს).

საგანთა ჯგუფის ნატურიდან ხატვის შემდეგ საჭიროა ჩატარებულ იქნას სხვა წესით დალაგებულ იმავე საგანთა ჯგუფის ხატვა წარმოდგენით და მეხსიერებით. შემდეგ მიმდინარეობს საღებავებით ხატვა ნატურიდან და თემატიკური ხატვა.

სასიუჟეტო ნახატის შესრულების დროს, ნახატში ნათლად უნდა ჩანდეს თემის შინაარსი, გამოყოფილ უნდა იქნას მთავარი მომენტები. როგორც ხაზობრივი შესრულება, ისე ფერების შერჩევა უნდა უპასუხებდეს თემის შინაარსს და ახასიათებდეს მას. მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს იმას, თუ როგორ ანაწილებს მოსწავლე ნახატს ქაღალდზე (კომპოზიცია), როგორ აქვს მას დაცული კოლორიტი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა, რომ მუშაობის პროცესში ყურადღება მიექცეს და სათანადო დრო დაეთმოს დეკორატიულ მუშაობას — სტილიზაცია, ორნამენტის შედგენა და მასთან გაცნობა (გამოყენებული უნდა იქნას ქართული ორნამენტიც) და ნახატის წესიერი გაფორმება.

გაკვეთილის დროს მასწავლებლის მიერ ფართოდ უნდა ტარდებოდეს ხელოვან რეალისტების ნახატებისა და სურათების რეპროდუქციების ჩვენება, როგორც გამოსახვის კანონების თვალსაჩინოდ ახსნის მიზნით, ისე ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედებასთან გაცნობისათვის.

საჩვენებელი ნიმუშების შერჩევა კარგად მოფიქრებული და ცალკეულ გაკვეთილზე დასახულ კონკრეტულ ამოცანების შესაფერისი უნდა იყოს: მაგალითად, საგანთა მოცულობის გამოსახვის წესების ახსნის დროს შეიძლება ნაჩვენები იქნეს ჰოლანდიელი ოსტატების ნატიურმორტები, სივრცის გადმოცემის დროს — შიშკინის პეიზაჟი, ლევიტანის, გაბაშვილის და სხვ. ადამიანის ნატურიდან ხატვის დროს — რეპინის, ივანოვის, სეროვის, ჩანახატები. სასიუჟეტო ნახატზე მუშაობის დროს სურიკოვი, რეპინის, კრამსკოის, გაბაშვილის, თოიძის და სხვათა კომპოზიციები.

საპროგრამო მასალის განრიგების დროს მეოთხედების მიხედვით საჭიროა გავითვალისწინოთ საათების საერთო რაოდენობა, რომელიც დათმობილია ყოველ ნაწილზე. ამიტომ მიახლოვებით მეოთხედზე დათმობილ 10 საათიდან, 2-3 სათი ეთმობა ცალკეულ საგნების და საგანთა ჯგუფების ფანქრით ხატვას, 2-3 საათი ნატურიდან საღებავებით ხატვას (საგანთა ჯგუფები), 2 საათი ადამიანების ჩანახატების შესრულებას 2-3 საათი სასიუჟეტო, წარმოდგენისა და მეხსიერებითს ხატვას.

მეხუთე კლასი.

შესავალი საუბარი. მხატვართა სურათების რეპროდუქციების ჩვენება თვალსაჩინოდ.

მოცულობითი საგნების გამოსახვისა და სივრცის გადმოცემის ხერხები: ცნება დამხატა-

ვის თვალთხედვის წერტილისა და ჰორიზონტის შესახებ; სივრცეში მდებარეობასთან დაკავშირებით საგნების მოჩვენებითი ცვლილებები (1 საათი).

I. ხატვა ნატურიდან (30 საათი).

მარტივი საგნების სწორად გამოსახვის შესწავლა: მათი დამახასიათებელი ფორმისა და მოცულობის გადმოცემა (ხაზობრივად და შუქჩრდილით).

1. ცილინდრული ფორმის საგნების ხატვა.

ცილინდრული ფორმის საგნების ზედა და ქვედა ფუძეების ხილულ ცვლილებათა გამოსახვა (წრის ცვლილებებში საგნის მდგომარეობასა ან დამხატავის თვალთხედვის წერტილთან დაკავშირებით).

ა) ჭიქა, თასი, კასრი, დოქი.

იგივე საგნები, მხოლოდ სხვადასხვაგვარად დალაგებული და სხვა თვალთხედვის წერტილებიდან. მუშაობა სრულდება სწრაფი ჩანახატების სახით (2 საათი).

ბ) ქილა, ქილა თავსახურით და ახდილი, წაქცეული კასრი, დაკიდებული კასრი, დოქი და სხვა (1 საათი).

გ) საგანთა ჯგუფი, ცილინდრული ფორმის საღებავების ჩასაწყობი ქილა, ყალმები და შეხვეული ქაღალდები ან დოქი და თასი და სხვა. (1 საათი).

დ) საგანთა ჯგუფი — ფინჯანით, სარძევე ჭიქა (1 საათი).

2. სწორკუთხა ფორმის საგნების ხატვა ცალკე და ჯგუფად. საგნის მდგომარეობის ან დამხატველის თვალთხედვის წერტილის შეცვლისას სწორკუთხა საგნების ფორმის ხილული ცვლილებების გამოსახვა: სიბრტყეების, კუთხეების და წიბოების (სილრმეში მიმავალი პარალელური ხაზები) ცვლილებები.

ა) არამსხვილი საგანი, ძირითადად პარალელოპიპედის ფორმისა (კოლოფი, წიგნი და სხვა ამგვარი) სხვადასხვა მხრივ მობრუნებული (1 საათი).

ბ) ამავე ფორმის მსხვილი საგანი სხვადასხვა გვარად მობრუნებული (გახსნილი დიდი წიგნი, მაგიდის ყუთი დაყენებული—1 საათი).

გ) სხვადასხვა სწორკუთხა ფორმის მსხვილი საგნები (ცალკე და ჯგუფში მუშაობა სრულდება ჩანახატების სახით — 2 საათი.

დ) ცილინდრული და სწორკუთხა ფორმის საგანთა ჯგუფი (დოქი, სამელნე და წიგნები: კოლოფი, ჭიქა და თეფში და სხვა) (2 საათი).

3. ადამიანის ნატურიდან ხატვა (მონახაზები) (7 საათი). ადამიანის სხეულის ძირითადი პროპორციებისა და მარტივ მოძრაობების დროს სხეულის მდგომარეობის ძირითადი ცვლილებათა გადმოცემა.

თითოეული მონახატს ეთმობა 15-20 წუთი.

ადამიანი სდგას: წინიდან. (ფასი) ზურგიდან და გვერდით (პროფილი) (4 საათი). ადამიანი მიდის, იკუზება, იატაკიდან საგანს იღებს, ზის (პროფილში) (3 საათი).

აღნიშნული დავალება სრულდება ფანქრით.

4. ვარჯიშობანი აკვარელით მუშაობის ელემენტარული ტექნიკის დაუფლებისათვის და ნატურიდან საგანთა ჯგუფის ხატვა საღებავებით (12 საათი).

ა) ფერის გაშლა. პატარა სიბრტყის შეღებვა ერთ და იმავე ფერით, ღია ფერიდან უფრო მუქ ფერამდე, ერთი ფერის მეორეზე დაფარვის გზით (1 საათი).

ბ) მექანიკური შერევა. ნაწარმი ფერის მიღება საღებავების შერევის გზით (პალიტრაზე) და მიღებული ფერით, დაახლოებით 3 სმ 10 სმ. ფორმის სწორკუთხედების შეღებვა. ფერების შერჩევა საღებავების ერთმანეთზე დაფარვის გზით (1 საათი).

საგანთა ჯგუფების სანიმუშო სია.

გ) ბოთლის და დოქის დახატვა და შემდეგ ნახატების შეღებვა მოცულობის გადმოცემის ცდით.

დ) დოქი ან ჭიქა წყლით ან ფინჯანი.

ე) ბოსტნეული და ხილი (ვაშლი, მსხალი, სტაფილო, კვახი და სხვა).

სპორტის ხელსაწყოები და სათამაშოები (ბურთი, დოლი და სხვა).

ვ) სასწავლო ხელსაწყოები (წიგნები და საღებავების კოლოფი.

ზ) მცენარეები ქილაში და ჭიქაში.

სამუშაო სრულდება ფანქრით და საღებავებით. ჯგუფები ლ. ე. ვ. ლაგდება ღია ფონზე.

II. ხატვა სხვადასხვა თემაზე მეხსიერებით და წარმოდგენით (9 საათი).

ღია და დახურულ სივრცეში ადამიანისა და საგნების ხატვა სიდიდეთა შეფარდებისა და მათი განლაგების გამოცემით. დაკვირვებითი პერსპექტივის მოვლენების სწორი გამოსახვა. გამოსახვისათვის მეტად დამახასიათებელი საგნების და ტიპების შერჩევა და ქალალდის ფურცელზე მათი განლაგება. სანიმუშო თემები: ა) ზაფხულში ბდინარეზე ბ) პიონერთა ბანაკი, გ) რთველი, დ) თოხნა, ე) კოლმეურნეობა, ვ) სკოლის ცხოვრება, ე) შოთა რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგისა და სხვ. მწერალთა ნაწარმოების ილუსტრაციები.

მეექვსე კლასი.

I. ნატურიდან ხატვა (31 საათი).

უფრო რთული საგნების გამოსახვის ძირითადი წესების შესწავლა.

1. სხვადასხვა საგნის ხატვა, ცალკე და ჯგუფში.

ა) კონუსისებური ფორმის საგნები სხვადასხვა მდგომარეობაში (კონუსისებური კასრი, ჭიქა, დოქი) (1 საათი).

ბ) შერეული ფორმის მსხვილი და არა მსხვილი საგნები (მორგვალო დოქი წვრილი ყელით, ბოთლი ჭიქა დახურული ზევიდან და სხვა (2 საათი).

გ) საგანთა ჯგუფები, მაგალითად: ბოთლი და ჭიქა: დოქი, თასი და ტაშტი (2 საათი).

იგივე საგნები სხვაგვარად დალაგებული (წარმოდგენით უნატუროთ (1 საათი).

დ) ვაშლი და მსხალი გაჭრილი და გაუჭრელი (1 საათი).

2) მსხვილი სწორკუთხა საგნების ხატვა (2 საათი).

დახურულ და ღია სივრცის გამოსახვისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

ა) ყუთი ღია თავსახურით სხვადასხვა მდგომარეობაში — ცარიელი და შიგ ჩადებული საგნებით (1 საათი).

ბ) სკამი, მაგიდა და სხვა (1 საათი).

3) ღია და დახურული სივრცის გამოსახვა დაკვირვების შემდეგ (ჰორიზონტის ზევით მიმავალი ჰორიზონტალი მიდის ქვემოთ, ქვემოთ მიმავალი — ზევით).

ა) საცხოვრებელი ბინის შინა ხედი საჭირო მორთულობით სხვადასხვა თვალთახედვის წერტილებიდან (2 საათი).

ბ) ქუჩა ,ლიანდაგი. ხატვა დაკვირვებით და მეხსიერებით (1 საათი).

4) მცენარეულობის, ფრინველებისა და წვრილი ცხოველების ჩახატვა ნატურიდან.

აგებულობის, პროპორციის, დამახასიათებელ ფორმების და მოცულობის გადმოცემა.

ა) ტოტები და მსხვილი ყვავილები (1 საათი).

ბ) ხეები (დაკვირვებით და მეხსიერებით) (1 საათი).

გ) წვრილი ცხოველებისა და ფრინველების ჩახატვა (ჩახატვა ნატურიდან ან ფიტულებიდან — 4 საათი).

5) ადამიანის ნატურიდან ჩახატვა (6 საათი).

V კლასში მიღებულ ჩვევათა განმტკიცება, და გაღრმავება.

საუბარი ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ სპეციალური ტაბულების ჩვენებით.

ა) ადამიანი დგას სხვადასხვა მხრივ მოპრუნებული (2 საათი).

ბ) ადამიანი დგას ერთ ფეხზე, დაყრდნობით (1 საათი).

გ) ადამიანი ზის პროფილში (1 სათი).

დ) ადამიანი მოძრაობაშია (ჩქარი ჩანახატები) (2 საათი).

აღნიშნული დავალებანი სრულდება ფანქრით.

II. საგანთა ჯგუფების ხატვა ნატურიდან ფანქრით და საღებავებით (7 საათი)

ფერის გაშლის საშუალებით საგნების დამახასიათებელი ფერისა და მათი მოცულობის გადმოცემის ცოდნის განმტკიცება.

საგანთა ჯგუფებისათვის საგანთა მოცულობითი აღება და ფერების ტონალური შეხამება ნეიტრალურ ფონზე.

III. სხვადასხვა თემაზე ხატვა მეხსიერებით და წარმოდგენით (6 საათი).

სასიუჟეტო ნახატში საგნების შერჩევა და განლაგება თემის მთავარ დამახასიათებელ მომენტების გამოყოფის გათვალისწინებით. მომქმედ პირების მთავარ დამახასიათებელ თვისებების ნახატში სწორი გადმოცემა. მოქმე-

დების ადგილისა და დროის ნათელი გაშუქება. სანიმუშო თემები და ლიტერატურული ნაწარმოები: „ჩვენი ქუჩა“, „პიონერების მიერ კოლმეურნეობის საკუთრების დაცვა“, „საოქტომბრო ზეიმი“, „ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე“. შ. რუსთაველის ი. ჭავჭავაძის, ა. ყაზბეგის, ა. წერეთელისა და სხვ. ნაწარმოებთა ილუსტრაციები და სხვა.

IV. დეკორატიული მუშაობა.

სტილიზაცია ორნამენტის გაცნობა, მისი შედგენა და გამოყენება (წიგნის ყდის, ნახატის გაფორმების დროს) გრაფიკული ტექნიკის ელემენტარულ წრეებთან გაცნობა (წიგნის ყდა და საწყისი ასოები, ტიტული და სხვა — 3 საათი).

„ვამტკიცებ“
განათლების სახ. კომისრის
მოადგილე **დ. ყიფშიძე.**

ასტრონომიის პროგრამა*)

განმარტებითი ბარათი.

ასტრონომიის კურსის შესწავლის მიზანია — მისცეს მოსწავლეებს წარმოდგენა ციურ სხეულთა მოძრაობის, აგებულობის და განვითარების პროცესების შესახებ, ასტრონომიულ ცოდნათა თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით. ამ ამოცანის შესრულება არ უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მოყოლით, არამედ უსათუოდ დაუკავშირდეს თვით მოწაფეების მიერ ჩატარებულ დაკვირვებებს.

1. შესავალში — პირველ თავში — მოსწავლეებს მოკლედ უნდა მიეცეთ მზის სისტემისა და სამყაროში მისი ადგილის აღწერა და წარმოდგენა თანამედროვე ასტრონომიაზე, როგორც მეცნიერებაზე, რომელიც ისწრაფვის შეისწავლოს ციურ სხეულთა არა მარტო მექანიკური მოძრაობანი, არამედ მათი განვითარების ფიზიკურ-ქიმიური პროცესებიც.

2. მეორე თავში, ცნებები სფერული ასტრონომიიდან—მოსწავლეებს მიეცემათ ისეთი მოცულობით, რომ მათ შეეძლებათ დამოუკიდებლად გაერკვენ ვარსკვლავიან ცაზედ, ჰქონდეთ წარმოდგენა ციურ სფეროსა და იმ კოორდინატებზე, რომლებიც იხმარება ასტრონომიაში.

იარაღების აღწერა უნდა იყოს მოკლე და იძლეოდეს ცოდნას იარაღების დანიშნულების შესაბამისად აგებულების პრინციპებს შესახებ.

3. პროგრამის მესამე თავში (დედამიწის ფორმა და მისი მოძრაობა) მოკლე ისტორიული მიმოხილვის სახით არის მოცემული დედამიწისა და ცის შესახებ წინანდელი მისტიური წარმოდგენების გადასვლა თანამედროვე შეხედულებაზე. ამასთან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმდენად არა მზის ბურთისებურობის ახსნას, — რასაც გეოგრაფიის უკვე განვლილი კურსი ითვალისწინებს, — რამდენადაც დედამიწის ფორმის შესახებ სიდიდის ზუსტად განსაზღვრის საშუალებას.

აქ განსაკუთრებით საჭიროა შევჩერდეთ მეცნიერებასა და რელიგიას შორის ბრძოლაზე.

4. მეხუთე თავის პირველ ნახევარში ხდება დაზუსტება უკვე ცნობილ, მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის შესახებ ცოდნის დასაბუთებულ მტკიცებათა გამოქვეყნების საშუალებით.

მოსწავლეებს აქვე ეძლევა მონისტურ-მეცნიერული მსოფლმხედველობის, დუალისტურ-რელიგიურ მსოფლმხედველობასთან, ბრძოლის მთელი ისტორია. თეორიის მნიშვნელობა **პრაქტიკისათვის** — ნაჩვენები უნდა იქნეს კალენდარის აგების საკითხთან დაკავშირებით.

მეათე კლასში უკვე მიღებული მათემატიკური ცოდნის საფუძველზე, კეპლერის კანონები ზუსტად ფორმულირებული უნდა იქნენ. ნიუტონის კანონის გამოყენების მიმოხილვაში ნაჩვენები უნდა იყო მისი როლი, როგორც ციური მექანიკის ძირთადი პრინციპისა. დარვინის წყლის მოქცევის ჰიპოტეზა მოსწავლეებს ეძლევათ, წყლის მოქცევის შესახებ მოძღვრებასთან დაკავშირებით: მისი მნიშვნელობა კოსმოგონიურ ჰიპოტეზების

*) პროგრამა წარმოადგენს რსფსრ-ის განსახკომის მიერ საშუალო სკოლების მე-10 კლასებისათვის მიღებულ ასტრონომიის პროგრამის თარგმანს.

განვითარებაში, ეძლევათ შემდეგ (იხ. მე-8 **თავი**).

5. პროგრამის მეექვსე თავში მოცემულია მზის სისტემის ასტრო-ფიზიკური აღწერა. პლანეტების აღწერის დროს აუცილებელი არ არის დეტალებზე შეჩერება, საჭიროა მოსწავლეებს მივცეთ შედარებითი აღწერა მათი ზედაპირისა, რაც იძლევა წარმოდგენას პლანეტების ევოლუციის შესახებ.

6. მეექვსე თავში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სამყაროს აგებულობისა და ვარსკვლავთა ევოლუციის საკითხებს. ვარსკვლავთა პარალაქსები, რომლებიც განხილული იყო მე-4 თავში, აქ მოცემულია, როგორც მანძილთა ერთეულები და ამასთან დაკავშირებით ეძლევათ მოსწავლეებს წარმოდგენა ვარსკვლავთა აბსოლუტურ სიკაშკაშეზე.

7. პროგრამიდან სჩანს, რომ მერვე თავში, მთავარი არის არა ჰიპოტეზების აღწერა, არამედ სამყაროს წარმოების და განვითარების შესახებ ანტირელიგიურ წარმოდგენათა გამომუშავება. მათი მნიშვნელობის **ახსნა-განმარტება.** სამი ჰიპოტეზის კონკრეტულ მაგალითზე ნაჩვენები უნდა იქნას, ჰიპოთეზის როგორც მეცნიერების განვითარების ფორმის მნიშვნელობა და ციურ სხეულთა განვითარების პროცესების შეცნობის შესაძლებლობა.

პროგრამის ბოლოში მოცემული დაკვირვებანი, პროგრამის შესაფერ თავებს მიეკუთვნებიან. ეს დაკვირვებანი შესაბამი მასალის დამუშავებაზე ადრე უნდა იწყებოდეს და ტარდებოდეს, რომ კურსის გავლის დროს უკვე დაგროვებული იყოს საკმაო დაკვირვებითი მასალა. დაკვირვებები, რომლებიც უნდა დაიწყოს პროგრამის პირველი ნაწილის გავლის დროს აღნიშნულია ვარსკვლავით.

I. შესავალი.

ცნება ასტრონომიაზე და წინასწარი მოკლე აღწერა მზის სისტემისა და ვარსკვლავთა სამყაროსი. ასტრონომიის ამოცანები, დაკვირვებანი და იარაღები.

II. ცის კამარა და ხილული ჰორიზონტი.

თანავარსკვლავედები. ცის დღე-ღამით ბრუნვა, მნათობთა ამოსვლა და ჩასვლა. სამყაროს ღერძი, ციური მერიდიანი, მნათობთა კულმინაცია. ჰორიზონტის მხარეები.

ცის სფერო და კუთხური გაზომვა. ციური თემატიკური ჰორიზონტი, ზენიტური მიმართულება, მერიდიანის სიბრტყე. წარმოდგენა ჰორიზონტალურ კოორდინატებზე და მათ სეზომ იარაღებზე.

ვარსკვლავური დღე-ღამისა და ვარსკვლავურ დროის წინასწარი ცნება. ციური ეკვატორი. ეკვატორულ კოორდინატთა ცნება. ვარსკვლავური დრო და პირდაპირი აღმოსვლა, მნათობთა სიმაღლე ზედა კულმინაციის მომენტში. ხილულ და არახილულ თანავარსკვლავთა ზონები.

მზის ხილული წლიური მოძრაობა. ეკლიპტიკა და ზოდიაკური თანავარსკვლავედები. ეკლიპტიკისა და ეკვატორის გადაკვეთის წერტილები. ბუნიობა, მზის მობრუნება. დღისა და ღამის ხანგრძლივობა პოლუსის სიმაღლესთან დაკავშირებით.

ვარსკვლავური დღე-ღამე და ვარსკვლავური დრო. ადგილობრივი ნამდვილი და საშუალო დრო, დროის განტოლება. წარმოდგენა ეკვატორული დადგმულობისა და მერიდიანულ წრის მოწყობილობისა და დანიშნულების შესახებ.

III. დედამიწის ბრუნვა და მისი ფორმა.

დედამიწის ფორმის, ბრუნვისა და მზის გარშემო მიმოქცევის შესახებ ცოდნის განვითარება. მეცნიერებასა და რელიგიას შორის ბრძოლა. დედამიწის ბრუნვის დამტკიცება: ვარდნილ სხეულთა აღმოსავლეთით გადახრით, ფუკოს ქანქარათი.

დედამიწის ბურთისებურობა, ხილული და ნამდვილი ჰორიზონტი. გეოგრაფიული კოორდინატები. განედი და გრძედი. პოლუსის სიმაღლე და ადგილის განედი.

დედამიწის ბრუნვა, როგორც დროის საზომი. ადგილობრივი დრო და გრძედი. ადგილობრივი და ზოლური დრო. დროის სამსახური სსრ კავშირში და მისი დამოკიდებულება საერთაშორისოსთან. გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა და სსრკ რუკა.

IV. მანძილი ციურ სხეულებამდე.

პარალაქსური გადაწევა. ჰორიზონტალური ეკვატორული პარალაქსი. მნათობებამდე მანძილებისა და მათი ზომის განსაზღვრა.

V. მზის სისტემის შესახებ ცოდნის განვითარება.

პლანეტებისა და მთვარის ხილული მოძრაობა. პტოლომეს და კოპერნიკის სიტყვები. პლანეტებისა და მთვარის ხილული მოძრაობის განმარტება კოპერნიკის მიხედვით. მზის სისტემის შესახებ შეხედულებათა განვითარება, მეცნიერულ და რელიგიურ მსოფლმხედველობათა ბრძოლა. კოპერნიკის თეორიის სისწორის დამტკიცება, აბერაცია და ვარსკვლავების წლიური პარალაქსი.

წლის დროთა ცვლის, მზისა და პლანეტების ხილული მოძრაობის ახსნა კოპერნიკის თეორიით. კეპლერის კანონები. მთვარის მოძრაობა დედამიწის გარშემო. პლანეტებისა და მთვარის ფაზები, მთვარის, მზისა და პლანეტთა თანამგზავრების დაბნელებანი. პლანეტებისა და მთვარის ბრუნვა ღერძის გარშემო.

მიზიდულობის კანონი. ნიუტონის კანონის გამოყენება ცის სხეულთა მოძრაობის და ფორმის ახსნისათვის. დედამიწის მასა და სიმკვრივე და პლანეტთა მასის განსაზღვრა. ნეპტუნის აღმოჩენა. წყლის მოქცევანი მათი მიზეზები და შედეგები. კალენდარი, წელიწადი, დღე-ღამე, თვე, ძველი და ახალი სტილის საწყისი, ერას პირობითობა.

VI. მზის სისტემა.

ასტროფიზიკისა და მისი მეთოდების ცნება. ფოტომეტრია, სპექტროსკოპია, ფოტოგრაფია. მზე. ლაქები და ჩირაღდანები. მზის ბრუნვა. მზის ტემპერატურა და გამოსხივება. მზის აქტივობასთან დაკავშირებული პერიოდული მოვლენები.

მზის სისტემის სხეულთა შედარებითი აღწერა, პლანეტების ზედაპირის ფიზიკური პირობებისა და ატმოსფეროს აღწერა. ასტეროიდები. კომეტები და მეტეორები. კომეტების სახის ცვლა, კუდის ტიპები, მეტეორების ნაკადები და მათი კავშირი კომეტებთან. კომეპებისა და მეტეორების მეცნიერულად ახსნა და რელიგიური ყალბი ახსნის წინააღმდეგ ბრძოლა.

VII. ვარსკვლავები.

ვარსკვლავების რიცხვი და [illegible]. ვარსკვლავთა პარალაქსი და მათი მანძილი მზიდან. ვარსკვლავთა ცაზედ განლაგება და მათი საკუთარი მოძრაობა. ნისლიანობა და ვარსკვლავთა გროვები. გალაქტიკის აგებულობა. სამყაროს აგებულობა.

ვარსკვლავთა სპექტრები. ორმაგი და ცვალებადი ვარსკვლავები. ვარსკვლავთა სიკაშკაშის, სპექტრების დამოკიდებულება მათ ზომასა და ტემპერატურასთან. ვარსკვლავთა ევოლუცია.

VIII. კოსმოგონური ჰიპოტეზები.

მოკლე ცნობები ციურ სხეულთა წარმოშობისა და ევოლუციის შესახებ შეხედულებათა განვითარების ისტორიიდან. კანტ-ლაპლასის კოსმოგონიური ჰიპოთეზები. ჯ. დარვინის მოქცევის ჰიპოთეზა დედამიწის, მთვარისა და ორმაგი ვარსკვლავების წარმოშობის შესახებ. ჯინსის თანამედროვე ჰიპოთეზა. სამყაროს აგებულების და წარმოშობის შესახებ რელიგიურ და იდეალისტურ წარმოდგენათა სიყალბე. სამყაროს უსასრულობა დროსა და სივრცეში.

დაკვირვებანი (გაკვეთილისგარეშე).

ა) მასწავლებლის უშუალო ხელმძღვანელობით.

1) ცის დღე-ღამითი ბრუნვისა და თანავარსკვლავედთა ზოგადი გაცნობა. 2) მზის სახე ჭოგრში და დურბინდში (ეკრანზე), 3) მთვარის ზედაპირის დაკვირვება, 4) იუპიტერსა, სატურნსა და ვენერაზე დაკვირვებანი (ჭოგრში და დურბინდში), 5) ნისლიანობა, ვარსკვლავთა გროვები, ორმაგი ვარსკვლავები, 6) დაკვირვება მთვარისა და მზის დაბნელებაზე (შესაძლებლობის შემთხვევაში).

ბ. მასწავლებლის დავალებანი.

თანავარსკვლავედების დღე-ღამითი მოძრაობა, 2) მზის კუთხური სიმაღლის გაზომვა შუადღისას, 3) პოლარული ვარსკვლავის კუთხური სიმაღლის გაზომვა, 4) პლანეტთა მოძრაობა ვარსკვლავთა შორის, 5) შუადღის ხაზის განსაზღვრა, 6) მთვარის მოძრაობა ცაზე, 7) საათის შემოწმება მზისა და რადიოს საშუალებით, 8) ქნარის β-ს და ცეფეის Δ-ს ცვალებადობის აღმოჩენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
განათლების სახ. კომისრის
მოადგილე **დ. ყიფშიძე.**

რაიონული (საქალაქო) პედაგოგიური კაბინეტის დებულება

I. ზოგადი ნაწილი.

1. რაიონული (საქალაქო) პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილების დამხმარე ბაზას სასწავლო მეთოდურ დარგში.

2. პედაგოგიური კაბინეტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის შესწავლა განზოგადოებასა და სადირექტივო ორგანოების დადგენილება-მითითებათა სკოლამდე დაყვანა-გატარებაში განათლების განყოფილებისათვის უშუალო დახმარების გაწევა.

3. რაიონული (საქალაქო) პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს რაიონულ (საქალაქო) განათლების განყოფილებასთან არსებულ ერთეულს, მუშაობს განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმით და თავის მუშაობით პასუხისმგებელია განათლების განყოფილების წინაშე.

II. მუშაობის შინაარსი და წესი

1. ამ დებულების ზოგადი ნაწილის მეორე მუხლით გათვალისწინებულ ამოცანის შესრულებისათვის რაიონულ (საქალაქო) პედაგოგიური კაბინეტის მუშაობის შინაარსში შედის:

ა) ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლების, აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის, სასკოლო და სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის და წარმატების აღრიცხვის ყველა მნიშვნელოვანი მომენტის შესწავლა დაწყებით, არა სრულ საშუალო და საშუალო სკოლების ხაზით იმ მიზნით, რათა საუკეთესო სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობა იქნეს განზოგადოებული

ბ) ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებებისა და დირექტივების დაყვანა გატარებაში განათლების განყოფილებისათვის უშუალო დახმარების გაწევა:

გ) პედაგოგიურ საგამომკვლევო სამეცნიერო ინსტიტუტების ნაშრომების, პერიოდული და არაპერიოდული პედაგოგიური პრესის მასწავლებლებისათვის გაცნობის მიმართულებით მუშაობა.

2. დებულების ამ თავის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამუშაოთა შესრულებას კაბინეტი ახდენს შემდეგი საშუალებებითა და წესით:

ა) კაბინეტი თანამშრომელთა საშუალებით სწავლობს ადგილებზე — სკოლებში — ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლების აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების, სწავლების ორგანიზაციის, რეჟიმის და წარმატების აღრიცხვის მდგომარეობას:

ბ) ამგვარი შესწავლის შედეგად, საუკეთესო სკოლების და მასწავლებლის მუშაობის განზოგადოების მიზნით, ადგენს სპეციალურ მოხსენებებს, საჟურნალო და საგაზეთო წერილებს, ლონისძიებათა ბარათებს და განაყალების განყოფილებასთან შეთანხმებით დაჰ-

ყავს იგი სკოლებამდე და მასწავლებლობამდე.

გ) აწყობს გამოფენებს (სტაციონალურსა და მოძრავ) დაწყებით, ა/ს საშუალო და საშუალო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკე საკითხებზე.

დ) შესაძლებლობის მიხედვით აწყობს მასწავლებელთათვის სემინარებს და პრაქტიკუმებს ცალკე საგნების მიხედვით (ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია და სხვა).

ე) აწყობს მოხსენებებს და ლექციებს პედაგოგიკის, დიდაქტიკის, მეთოდიკების და საერთოდ სკოლის მუშაობის პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ვ) იმუშავებს განსაზღვრულ წესს და აწყობს მასწავლებელთათვის ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საკითხებზე.

ი) აყალიბებს, ს. კ. პ. (ბ) ისტორიის და სსრკ ისტორიის შემსწავლელ წრეებს.

ზ) აწყობს, ღია საჩვენებელ გაკვეთილებს ნაკლებ გამოცდილების მქონე მასწავლებელთათვის.

თ) არის განსახკომის სასკოლო მუშაობის კაბინეტის მუდმივი კორესპოდენტი და აწვდის მას საჭირო მასალებს (კაბინეტის მოთხოვნილების მიხედვით).

5) პედკაბინეტთან არსებობს რაიონული პედაგოგიური ბიბლიოთეკა.

III. პედკაბინეტის სტრუქტურა

1. პედკაბინეტის სათავეში დგას გამგე, რომელსაც ნიშნავს განათლების სახალხო კომისარი განათლების განყოფილების გამგის წარდგენით. პედკაბინეტის გამგეს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და პედაგოგიური სტაჟი არანაკლები 5 წლისა.

2. პედკაბინეტის შტატსა და ბიუჯეტს ამტკიცებს განსახკომი.

3. პედკაბინეტის მუშაკები სარგებლობენ, ყველა იმ უფლებით, რომელიც მინიჭებულა აქვთ დაწყებითსა და საშუალო სკოლების მასწავლებლებს (შვებულება, პენსია და სხვ.).

4. პედკაბინეტის ტიპიური შტატი ასეთია:

კაბინეტის გამგე, იგივე საშუალო სკოლის მუშაობის ხელმძღვანელი	1
დაწყებითი სკოლის მუშაობის ხელმძღვანელი.	1
ბიბლიოთეკის გამგე	1
ტექნიკური მუშაკი	1
სულ	4

ბრძანება № 3574

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1937 წ. 2 დეკემბერს

მოზრდილთა ა/ს საშ. და საშ. სკოლებისათვის მეთოდური სექციის ჩამოყალიბების შესახებ.

1. მოზრდილთა ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლების სიმრავლისა, აგრეთვე ამ სკოლების მუშაობის სპეციფიურობის გამო და მომავალში მათზე მეთოდური მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით 1938 წლის 1-ლ იანვრიდან განსახკომის მეთოდკაბინეტთან ჩამოყალიბდეს მოზრდილთა ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლებისათვის მეთოდური სექცია ერთი საშტატო ერთეულით.

2. დაევალოს საგეგმო-საბიუჯეტო განყოფილებას 1938 წლისათვის მეთოდკაბინეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ამისათვის საჭირო თანხები.

3. მოზრდილთა განათლების სამმართველომ შეარჩიოს მეთოდკაბინეტის ამ სექციაში მომუშავის სათანადო კანდიდატი და წარმომიდგინოს დასამტკიცებლად ამა წლის 20 დეკემბრამდე.

განათლების სახალხო კომისარი
ერ. ბურჭულაძე

ბრძანება № 3627

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1937 წლის „7“ დეკემბერს.

საბავშვო გამომცემლობის მუშაობის შესახებ.

გავეცანი რა საბავშვო გამომცემლობის 1937 წლის გეგმის შესრულების შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სახელგამის გამ-ვის — ნიკო კიკნაძის არასწორი ხელმძღვანელობისა და სახელგამის საბავშვო ლიტერატურის სექტორის მიერ გეგმის შესრულებისათვის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად — გეგმით გათვალისწინებულ 52 სახელწოდების წიგნიდან დღემდე ბაზარზე მხოლოდ 25-მდე სახელწოდების წიგნია გამოსული; გამოცემულ წიგნთაგან ზოგიერთთა ხარისხი მხატვრული და ტექნიკური გაფორმების მხრივ არადამაკმაყოფილებელია (ქაღალდი ხშირად უვარგისია, ზოგიერთი გამოცემულ წიგნს არა აქვს სატიტულო ფურცელი, ბევრი წიგნი დაუდევრად არის აკინძული და სხვ. „შეფოთლილი ხეივანი“ — გ. კაჭახიძის, „წარსულიდან“ — პოსტიშევის, „ლალა და თრითინა“—გ. პატარიძის და სხვ.

საბავშვო გამომცემლობის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სახელგამმა 1938 წლის პირველ კვარტალიდან დააწესოს საბავშვო გამომცემლობისათვის გეგმით გათვალისწინებული მაღალი ხარისხის ქაღალდის ფონდის ცალკე გამოყოფა. აიკრძალოს საბავშვო გამომცემლობის ქაღალდის ფონდის ხარჯვა სხვა საჭიროებისათვის გარდა საბავშვო გამომცემლობისა.

2. საბავშვო წიგნების სათანადო ხარისხით გამოცემის უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს ყველა წიგნის, სტამბაში გადაცემამდე წარმოდგენა განათლების სახალხო კომისარიატში განსახილველად და დასამტკიცებლად.

3. საბავშვო გამომცემლობის გეგმით გათვალისწინებულ წიგნთა დროულად განხილვა და კომისრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა მიენდოს საშუალო სკოლების სამმართველოს.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წიგნების ტექნიკურად სათანადოდ გაფორმების საქმეს — სწორად აკინძვა, სათანადოდ შემოჭრა, სატიტულო ფურცელი, შინაარსი და სხვა.

5. საბავშვო წიგნების დასურათების დარგში მაღალი ხარისხის მიღწევისათვის, საბავშვო წიგნების დასურათება მიენდოს მაღალ კვალიფიციურ მხატვრებს, სახელგამმა დასახოს ღონისძიებანი საბავშვო წიგნების მხატვრებთან სათანადო მუშაობის ჩატარებისათვის.

6. საბავშვო წიგნების გამომცემლობის საქმის მომავალში მაღალ საფეხურზე აყვანისათვის დაისვას საკითხი საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკის წინაშე, საბავშვო გამომცემლობის ცალკე დამოუკიდებლად გამოყოფის შესახებ.

განსახკომის მოადგილე **დ. ჟიფშიძე**

ბრძანება № 3614

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წლის „7“ დეკემბერს.

ყვარელის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობის გარდაქმნისათვის.

როგორც გამოკვლევის მასალებით დადასტურდა, ყვარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. თ. მაზანაშვილი აგრძელებს რა განათ. განყოფილების ყოფ. გამგის გ. კორსაველის მუშაობის „მეთოდებს“, სრულ უპასუხისმგებლობას და უდარდელობას იჩენს რაიონის საკლუბო დაწესებულებათა მუშაობისადმი.

ამის შედეგად: კლუბებისა და ქოხსამკითხველოების შენობები გადაქცეულია პურის ბეღლებად (ენისელის, ახალი სოფლის, შილდის და სხვა სასოფლო საბჭოებში) და ზოგან საკლუბო დაწესებულებათა შენობები თითქმის სანახევროდ დანგრეული და შეუკეთებელია (მაგ. გავის, ჭიკაანის, საბუეს, და სხვა სასოფლო საბჭო).

რაიონის მრავალ საკლუბო დაწესებულებას არ გააჩნია საჭირო ინვენტარი და მოკლებულია მხატვრულ გაფორმებას და კეთილ-მოწყობას.

.განათლების განყოფილება რაიონის საკლუბო დაწესებულებებს არავითარ მეთოდურ-ორგანიზაციულ დახმარებას არ უწევს. რაიონის განათლების განყოფილების მუშაკები 10 თვის განმავლობაში ერთხელაც არ ჩასულან ადგილებზე საკლუბო დაწესებულებათა მუშაობის შესამოწმებლად და მათთვის კონკრეტ დახმარების გასაწევად (ჭიკაანი, გავაზი და სხვა).

რაი-განყოფილება უყურადღებოდ და შეუსრულებლად სტოვებს განსახკომის დირექტივებსა და ინსტრუქციებს. ადგილი აქვს საკლუბო მუშაობისათვის განკუთვნილ თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას (საკლუბო მუშაობის თანხებიდან ყვარელის სახ. თეატრზე გაცემულია 16.500 მან.).

აქედან გამომდინარე ვბრძანებ:

1. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით ყვარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. თ. მაზანაშვილს და საყვედური გაფრთხილებით პოლიტგან-ინსპექტორს ამხ. შ. მზექალიშვილს.

2. დაევალოს ამხ. თ. მაზანაშვილს: ა) ა/წ. 25-XII-მდე გაანთავისუფლოს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაკავებული საკლუბო დაწესებულებათა შენობები.

ბ) ამავე ვადისათვის აღადგინოს მან საკლუბო დაწესებულებათათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები, რომლებიც არაპირდაპირი დანიშნულებით იქნა გახარჯული.

გ) ათი დღის ვადაში აღადგინოს თავის უფლებებში სარაიონო კლუბი და უზრუნველყოს მისი ნორმალური მუშაობა.

დ) 15 დღის ვადაში უზრუნველყოს რაიონის საკლუბო დაწესებულებათა კადრების გადასინჯვა, კვალიფიციური მუშაკების შერჩევა და განსახკომისათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

ე) მ/წ 1-ლი იანვრამდე უზრუნველყოს საკლუბო დაწესებულებათათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო თანხების ათვისება და რაიონში არსებულ საკლუბო შენობების სრულ წესრიგში მოყვანა.

ვ) უზრუნველყოს რაიონის ყველა საკლუბო დაწესებულებების მიმართ ოპერატიული ხელმძღვანელობა, მათი მუშაობის ადგილზე შემოწმება და კონკრეტულ ორგ-მეთოდური დახმარების გაწევა.

ზ) დაევალოს კულტურის სახლებისა და საკოლმეურნეო კლუბების სამმართველოს უფროსს ამხ. ა. გაბისონიას მომახსენოს ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

4. ბრძანება გაეგზავნოს ყველა განათლების განყოფილების გამგეს.

განათლების სახ. კომისარი

ერ. ბურჭულაძე

ბრძანება № 3547

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1937 წლის „29“ ნოემბერს.

ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგის შესახებ

ვანის რაიონის განათ. განყოფილების გამგის ამხ. სევერიან ცინცაძის მიერ საკლუბო მუშაობის შეუფასებლობისა და მისდამი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად 1937 წლისათვის დამტკიცებული 12 ქოხ-სამკითხველოსა და 7 სასოფლო კლუბის ნაცვლად რაიონში არსებობს 8 ქოხ-სამკითხველო და 6 სასოფლო კლუბი. კერძოთ შუამთის ქოხ-სამკითხველო მის მიერ გაუქმებულ და გადაკეთებულ იქნა სასოფლო ბიბლიოთეკად, ხოლო განათლების სახ. კომისარიატს აწვდიდა ყალბ ცნობებს ქოხ-სამკითხველოს არსებობის შესახებ.

გამომდინარე აქედან ვბრძანებ:

1. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური — გაფრთხილებით ვანის რაიონის განათ. განყოფილების გამგეს ამხ. ს. ცინცაძეს.

დაევალოს მასვე რაიონის საკლუბო დაწესებულებათა ქსელი აიყვანოს ბიუჯეტით გათვალისწინებულ რიცხვამდე (7 სასოფლო კლუბი და 12 ქოხ-სამკითხველო) და აღადგინოს შუამთის ქოხ-სამკითხველო ა/წ. 15 დეკემბრამდე.

ვავალებ კულტსახლებისა და საკ. კლუბების სამმართ. უფროსს ამხ. გაბისონიას ამ ბრძანების შესრულებაზე მომახსენოს პირადათ მე.

განათლების სახალხო კომისარი
ერ. ბურჭულაძე

ბრძანება № 3819

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1937 წ. „19“ დეკემბერს.

პროფესორ-მასწავლებელთა თანამდებობისათვის განაკვეთის შემოღების შესახებ

სსრკ სახკომსაბჭოს 1937 წლის 11 ნოემბრის დადგენილების „საშტატო თანამდებობის და პროფესორ მასწავლებელთა თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების შესახებ უმაღლეს სკოლებში“-ს თავის დროზე და წარმატებით შესრულებისათვის ვბრძანებ:

1. დაევალოს ქვემდებარე უმაღლეს სკოლების (სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის, გორის, ბათუმის, სტალინირის სამასწავლებლო ინსტიტუტების და ქუთაისის და ბათუმის პედინსტიტუტების) დირექტორებს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ წარმოადგინონ განსახკომში განსახილველად მათდამი რწმუნებული უმაღლეს სკოლების საშტატო თანამდებობათა და პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალური შემადგენლობის შესახებ ზუსტი ცნობები, შედგენილი უმაღლესი სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე.

2. უმაღლეს სკოლების სამმართველომ უზრუნველყოს — ადგილებზე (გორი, ბათუმი, ქუთაისი, სტალინირი, სოხუმი) ინსპექტორების მივლინება ადგილობრივ მუშაობის შესასწავლად და საინსტრუქციო მითითებათა მისაცემად.

3. დაევალოს განსახკომის უმაღლეს სკოლების სამმართველოსთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიას 1938 წლის 10 იანვრამდე აიყვანოს აღრიცხვაზე პროფესორ-დოცენტები, უფროსი მასწავლებლები, ასისტენტ-

ლაბორანტები და სისტემაში მოიყვანოს მათი საბუთები.

4. უმაღლესი სკოლების სამმართველომ წარმოადგინოს 1938 წ. „1“ იანვრისათვის განსახკომის სისტემაში შემავალ უმაღლეს სკოლების სათანადო კატეგორიაში მოთავსების პროექტი უმაღლეს სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტში წარსადგენად.

5. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილებას 20/XII-სათვის წარმოადგინოს სტიპენდიების ახალი განაკვეთების შესაბამისი საჭირო თანხების რაოდენობა.

განათლების სახ. კომისრის
მოადგილე Д. ყიფშიძე

ბრძანება № 3767

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1937 წლის „15“ დეკემბერს.

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცების შესახებ.

1937 წლის 1-ლი ივლისის № 1092 ბრძანების შესაცვლელად **ვბრძანებ:**

საქ. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისია დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:

1. ბურჭულაძე ე. ე. (თავ-რე).
2. ყიფშიძე დ. ი. (თავ-რის მოადგილე)
3. დოც. კიკნაძე გ. ი.
4. პროფ. მუსხელიშვილი ნ.
5. „ ბერიტაშვილი ი.
6. „ შარია პ. ა.
7. „ კუპრაძე ვ.
8. „ ნათაძე გ. ი.
9. „ ტალახაძე ვ.
10. „ ჯანელიძე ან.
11. „ ახვლედიანი გ.
12. „ ხაჭაპურიძე გ. ვ.
13. „ ნუცუბიძე შ.
14. „ ჯავახიშვილი ალ.
15. „ ჯავახიშვილი ივ.
16. „ დანელია ს.
17. „ კანდელაკი ბ.
18. „ წერეთელი გრ.
19. „ ხარაძე არ.

განათლების სახ. კომისარი
ერ. ბურჭულაძე

ბრძანება № 3744

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1937 წ. „14“ დეკემბერს.

პედ. კვალიფიკაციის ამაღლების კურსების შესახებ.

1937 წელს პედ. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან 3-ჯერ მოეწყო ფ. კ. ხაზით მომუშავეთა რესპუბლიკური გადასამზადებელი კურსები, და მიუხედავად იმისა, რომ რაიონებს დროულად დაეგზავნათ ბიმართვები და დეპეშები, ზოგიერთმა რაგანყოფილებების გამგეებმა არ მიაქციეს ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება და არც ერთხელ არ მიავლინეს კურსებზე მსმენელები (აჭარის ასსრ განსახკომი, სამხრეთ ოსე-

თის ავტონომიური ოლქის განსახკომი, გორის, კასპის, ცაგერის, თიანეთის, წალენჯიხის, ბაშკიჩეთის განგანყოფილებები).

მივაქცევ გან. განყოფილებების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ფ. კ. მასწავლებლობის უმრავლესობა ან ძლიერ სუსტად ერკვევა ფ. კ. მუშაობის საკითხებში ანდა სულ არა აქვს არავითარი წარმოდგენა ფიზიკური აღზრდის თანამედროვე მეთოდების შესახებ; ზოგიერთი რაიგანგანყოფილებები ფ. კ. საათებით სტვირთავენ სხვა საგნის მასწავლებლებს (არასპეციალისტებს) მათი განაკვეთის შევსების მიზნით (ცხაკაიას, ტყიბულის, გორის, ლაგოდეხის, აღბულაღის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ყარაიაზის რაიგანგანყოფილებები).

მთელი რიგი რაიონების განათლების განყოფილების გამგეებმა აგრეთვე ვერ შეავსეს საზაფხულო გადამზადება იმ მასწავლებელთა, რომელნიც ასწავლიან სხვა საგანს შეთავსებით და მათი მოწყვეტა სწავლის დაწყების შემდეგ გართულებულია — აბაშის, ახალქალაქის, აღბულაღის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, დუშეთის, ვანის, ზ/სვანეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ონის, საგარეჯოს, ტყიბულის, ქვ. სვანეთის, ყარაიაზის, ყვარელის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს, ფოთის, ცხაკაიას, ხაშურის რაიგანგანყოფილებებმა აგვისტოს თვეში კოჯორში მოწყობილ ფ. კ. მასწავლებელთა გადამზადებელ კურსებზე არ მოავლინეს თავიანთი მასწავლებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან **ვბრძანებ:**

1. მიეთითოს ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, გეგეჭკორის, დუშეთის, ლაგოდეხის, ლიუქსემბურგის, ონის, საგარეჯოს, ტყიბულის, ყარაიაზის, ყვარელის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს განგანყოფილებებს, პედ. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის გადასამზადებელ ფ. კ. კურსებზე მათთვის დათმობილ ადგილების გამოუყენებლობისათვის.

2. გამოეცხადოს საყვედური გორის, კასპის, ცაგერის, თიანეთის, წალენჯიხის, ბაშკიჩეთის რაიგანგანყოფილებების გამგეებს 1937 წ. პედ. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან სამჯერ მოწყობილ ფ. კ. გადასამზადებელ კურსებზე მათთვის დათმობილ ადგილების სამჯერვე გამოუყენებლობისათვის.

3. ყველა რაიგანგანყოფილებების გამგეებმა შემდგომში ზუსტად დაიცვან ფ. კ. კურსებზე მოვლინებისათვის მიცემული ვადები და განაწილებით მათთვის დათმობილ ადგილების რაოდენობა.

განათლების სახ. კომისრის
მოადგილე დ. ყიფშიძე

პ/მგებელი რედაქტორი დ. ყიფშიძე ტექნრედაქტორი ს. ცაიშვილი

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ყორღანის 5. შეკ. № 1645 ტირაჟი 5000. მთავლ. № 1195.